„დამტკიცებულია“

დეკანი: ასოც. პროფ. ამირან ბრეგვაძე

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 5
08.01. 2018 წელი

აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტი
საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის
სტრატეგიული განვითარების გეგმა
(2018-2024 წწ)

წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბჭოს მიერ და განსაზღვრავს საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საგანმანათლებლო აქტივობების შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებებს, გრძელვადიან მიზნებს და ამ მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს მომდევნო 7 წლის (2018-2024წწ) განმავლობაში.

ფაკულტეტის ისტორია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივესიტეტის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი ქ. ფოთში ფუნქციონირებს.

ქ. ფოთი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქია, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ნავსადგურის მშენებლობა ჯერ კიდევ 1863 წლიდან დაიწყო, მაგრამ აქტიურ ფაზაში 1899 წელს შევიდა ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით. ამავე პერიოდში მან მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საზღვაო განათლების კერების ჩამოყალიბებასაც. · საზღვაო განათლების ისტორია საქართველოში ამ პერიოდიდან იწყება და მას საუკუნოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში - 1901 წელს ნიკო ნიკოლაძის აქტიური მონაწილეობით ფოთში ჩამოყალიბდა პირველი საზღვაოსნო კლასები. 1918 წელს ფოთში გაიხსნა საზღვაო სასწავლებელი, რომელიც არსებობდა 1930 წლამდე, 1930 წელს სასწავლებლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ფოთის საზღვაო ტექნიკუმი, რომელიც 1939 წლამდე მოქმედებდა. ამავე პერიოდში ფოთში ფუნქციონირებას იწყებს ჰიდრომელორაციული ტექნიკუმი (1930-1994 წლები), რომელიც ფოთის ინდუსტრიული ტექნიკუმის სახელით 1995-1999 წლებში არსებობდა.

ამჟამად ქალაქ ფოთში საზღვაო ნავსადგურის გარდა მრავალი სატრანსპორტო, გადამზიდავი, ექსპედიტორული, საზღვაო-სააგენტო ფირმა, საკონტეინერო ტერმინალი ფუნქციონირებს. შესაბამისად, დიდია მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ ტრანსპორტის, ლოჯისტიკისა და მენეჯმენტის პროფილის სპეციალისტებზე.

სწორედ ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე 1992 წელს ქ. ფოთში გაიხსნა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფოთის ფილიალი, რომელიც 1997 წელს გადაკეთდა ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ფოთის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტად.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №39 დადგენილების თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის ნ.მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი გაერთიანდა. საგანმანათლებლო დაწესებულებას სტატუსად განესაზღვრა უნივერსიტეტი და ეწოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2007 წლის 20 სექტემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე ფოთის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტს ეწოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი.

არსებული სიტუაცია

ფაკულტეტზე 2009 წლიდან ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, სადაც ამჟამად სწავლობს 199 სტუდენტი. საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის სტატისტიკა წარმოდგენილია ცხრილი 1.-ის სახით.

ცხრილი 1.

სასწავლო .წელი	I კურსზე ჩაირიცხა	მობილობით გადავიდა	მობილობით დაემატა	ამჟამად სწავლობს	დაამთავრა და კვალიფიკაცია მიენიჭა
2010	2	-	21		23
2011	11	-	21		18
2012	17	1	32		27
2013	14	7	37		26
2014	11	1	28	35	
2015	10	1	26	36	
2016	4	-	23	26	
2017	5	-	6	11	

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტს პროფესიული პროგრამების განხორციელების საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. სწორედ ამ ფაკულტეტზე დაიწყო უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება 2008 წლიდან. 2008-20110წწ. ხორციელდებოდა საუდიტორო საქმის და საზღვაო გადაზიდვებისა და ორგანიზაციის მართვის პროფესიული პროგრამები, 2010-2012 წწ - სატრანსპორტო ფირმებში ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა, ხოლო 2012 წლიდან დღემდე ხორციელდება მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა.
მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის სტატისტიკა წარმოდგენილია ცხრილი 2.-ის სახით.

ცხრილი2.

სასწ.წლები	მისაღები კონტინგენტი	ჩაირიცხა	დაამთავრა და კვალიფიკაცია მიენიჭა
2012	10	5	2
2013	10	8	2
2014	20	20	19
2015	50	50	36
2016	30	30	23

2017	**20**	**8**	

ფაკულტეტზე სასწავლო პროცესს ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე მოწვეული სპეციალისტი:

საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულებით

- 1 პროფესორი,
- 3 ასოცირებული პროფესორი;

ბიზნესის მართვის მიმართულებით

- 1 ასოცირებული პროფესორი
- 2 ასისტენტ პროფესორი;

საინჟინრო მექანიკის მიმართულებით

- 1 ასოცირებული პროფესორი ;
- 2 ასისტენტ პროფესორი;

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა				
	სახელი, გვარი	სამეცნიერო ერთეული	აკადემიური თანამდებობა	შენიშვნა
№				
2	საღინაძე ივანე	1	პროფესორი. საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება	
3	გოგაძე ვაჟა	0,5	ასოც.პროფესორი.საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება	დეკანის მოადგილე
4	ფხაკაძე მანანა	0,5	ასოც.პროფესორი.საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
5	დარასელია ნონა	0,5	ასისტ.პროფესორი..საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება	
6	ხარბედია ლალი	1	ასოც.პროფესორი. ბიზნესის მართვის მიმართულება	ბიზნესის მართვის მიმართულების ხელ-ლი
7	ბჟალავა მზისადარი	1	ასისტ.პროფესორი. ბიზნესის მართვის მიმართულება	
8	დავითაია ბადრი	1	ასისტ.პროფესორი.ბიზნესის მართვის მიმართულება	
9	არქანია ზურაბი	1	ასოც.პროფესორი. საინჟინრო მექანიკის მიმართულება	საინჟინრო მექანიკის მიმართულების ხელ-ლი

10	ჭანტურია თენგიზი	1	ასისტ.პროფესორი. საინჟინრო მექანიკის მიმართულება	
11	უგულავა ამირანი	0,5	ასისტ.პროფესორი.საინჟინრო მექანიკის მიმართულება	
12	გაგუა ნინელი	საათო ბრივი	უცხო ენის მასწავლებელი	

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების კურსის პარალელურად, ფაკულტეტის სტუდენტები სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას გადიან ქ.ფოთში არსებულ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ, მოქმედ გადამზიდავ სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ფირმებში და მცირე საწარმოებში.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან საქართველოს რეგიონების საჯარო დაწესებულებებში, ქ. ფოთის თვითმართველობაში, საზღვაო ნავსადგურში, ბანკებსა და საკრედიტო ორგანიზაციებში, სატრანსპორტო გადამზიდავ ფირმებში, შემოსავლების სამსახურში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში და ა. შ.

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული კვლევით საქმიანობაში. სრულდება სამეცნიერო კვლევები საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულებით.2012 წლიდან შესრულებულია 2 სამეცნიერო საგრანტო პროექტი, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, საერთო თანხით - 378686 ლარი; და 1 ევროგრანტი 20 000 ლარი დაფინანსებით.

დასახელება	**წლები**	**დაფინანსების წყარო**	**დაფინანსება**
1. ჰიდროსაინჟინრო და გარემოსდაცვითი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ქ. ფოთის შავიზღვისპირა რეგიონში	2012-2014.	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გრ. 10-15.	198 686 ლარი
2. გეომორფოლოგიური პროცესების სტაბილიზაციის ღონისძიებები მდინარეების რიონისა და ენგურის შესართავ აკვატორიებში და მათი გაანგარიშების ჰიდროდინამიკური მეთოდები	2015-2017	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი №AR/22/3-109/14	180 000 ლარი
3. ფოთის პორტის მიმდებარე რეგიონებში ზღვის წყლის ხარისხის, ნატანის მიგრაციისა და ჰიდროდინამიკური მახასიათებლების მონიტორინგი	2012-2015	ევროგრანტი N5282	20 000 ლარი

ფაკულტეტის მისია

ფაკულტეტის მისია არის პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და განავითაროს რეალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე, მიზანმიმართულად იზრუნოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებასა და ინტერნაციონალიზაციაზე.

ფაკულტეტის ხედვა

საქართველო ასრულებს რა კავკასიის სატრანსპორტო-ლოგისტიკური ცენტრის ფუნქციას, ტვირთნაკადების ზრდა ახალ მოთხოვნებს უყენებს საზღვაო ნავსადგურებს და სატრანსპორტო გადამზიდავ ფირმებს. მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭიროა მომზადდეს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ჯეროვან ორგანიზაციას გაუწევენ ტვირთების მოძრაობას. ფაკულტეტზე ხორციელდება დასავლეთ საქართველოში ერთადერთი აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამა საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის მიმართულებით 2009 წლიდან, რომლის კურსდამთავრებულები პასუხობენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს,

შეუძლიათ დაიკავონ მენეჯერის პოზიცია როგორც კერძო, ისე საჯარო სტრუქტურებში და შეიტანონ თავიანთი წვლილი რეგიონისა და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის რეალიზაციაში.
2024 წელს საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი არის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლების პირობებში ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო კვლევით საქმიანობას. ახალი საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად შეიმუშავებს და ახორციელებს სამაგისტრო, საბაკალავრო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლის კურსდამთავრებულებს მიღებული თეორიული ცოდნითა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შეუძლიათ დაიმკვიდრონ თავიანითი ადგილი მაღალ კონკურენტულ გარემოში, შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.
ფაკულტეტი ისწრაფვის უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღების შესაძლებლობა, შექმნას სათანადო პირობები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევისათვის.

SWOT ანალიზი - 2017 წელი

ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება ეფუძნება 2017 წელს ჩატარებულ SWOT ანალიზს.

ძლიერი მხარეები

- დასავლეთ საქართველოში ერთადერთი აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამა საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის მიმართულებით;
- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების ხანგრძლივი ტრადიაცია;
- ფაკულტეტის მიმართულებების პრიორიტეტულობა რეგიონისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის;
- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;
- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში წარმატებული აკადემიური პერსონალი;
- აქტიური თანამშრომლობა რეგიონის პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით და დასაქმების შესაძლებლობის უზრუნველყოფით რეგიონიდან ახალგაზრდა თაობის გადინების პროცესის შეკავება;
- თანამშრომლობის მემორანდუმები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო კომპანიებთან (რიზეს რეჯიფ ტაიპ ერდოგანის უნივერსიეტი; შპს „კასპიან ლოჯისტიკს ანდ ფრეით ფორწარდინგ“ (ქ. ბაქო), შპს „სუვარი სჰ იფინგ ენდ ტრაიდინგ კომპანი“ (ქ. სტამბული), შპს „ბირ დუნია“ (ქ. აშხაბადი), შპს „ ზ ტრანს ჯგუფი“, (ქ. თბილისი), შპს „ნეობიერია ჯგუფი)

სუსტი მხარეები

- უცხოენოვანი პროგრამების არ არსებობა;
- ინგლისური ენის მცოდნე პერსონალის ნაკლებობა;
- სწავლისა და კვლევის ინტეგრაციის ნაკლებობა სტუდენტების მონაწილეობით;
- გაცვლით პროგრამებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობის დაბალი დონე;
- დამსაქმებლის მოთხოვნებზე მორგებული მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების არ არსებობა;
- ელექტრონული სწავლების ფორმის არ არსებობა;
- თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიების ნაკლებობა;
- ნაწილობრივ მოძველებული ინფრასტრუქტურა.

შესაძლებლობები

ფაკულტეტის ძლიერი მხარეების შემდგომი გამყარებისა და სუსტი მხარეების გამოსწორების მიზნით, მიზანშეწონილია ამოქმედებულ და გამოყენებულ იქნას შემდეგი შესაძლებლობები:

- შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად ახალი აკადემიური და

პროფესიული პროგრამების შემუშავება;

- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების მონაწილეობით;
- აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის გაძლიერება;
- ელექტრონული სასწავლო კურსების მომზადება/განვითარება და ელექტრონული სწავლების დანერგვა;
- სწავლა/სწავლების თანამედროვე ფორმების დახვეწა და სრულყოფა;
- აუდიტორიების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა;
- ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის განახლება;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგიის დანერგვის მიზნით ტრენინგ-კურესების ამოქმედება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ძლიერი სეგმენტი;
- ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობა;
- ფაკულტეტზე სამაგისტრო პროგრამის განხორციელება და კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა;
- ფოთის როგორც სანავსადგურო ქალაქის გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსული პოტენციალის გამოყენება სასწავლო და კვლევის მიზნებისათვის;
- პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების: დამსაქმელები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, (კურსდამთავრებულების) ჩართულობა და მონაწილეობის მექანიზმის სრულყოფა.
- ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა;

საფრთხეები

- დაგეგმილი კონტიგენტის არასრული შევსება;
- ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა (შიდამიგრაციის გაძლიერება რეგიონებიდან დედაქალაქში);
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებადი საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამების მხრიდან კონკურენციის გაძლიერება;
- სახელმწიფო მიერ საზოგადოებრივი პროფესიული კოლეჯების დაფინანსება;

სტრატეგიული მიმართულებები:

დასახული მისიისა და ხედვის რეალიზების მიზნით საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის სტრატეგია გამოყოფს 5 ძირითად მიმართულებას. თითოეული მიმართულება მოიცავს მოსალოდნელ შედეგებს და მათი მიღწევის გზებს. სტრატეგიას თან ახლავს ფაკულტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც დაკონკრეტებულია საქმიანობები და პასუხისმგებლობები. მიზნები და მოსალოდნელი შედეგები დაზუსტებულია მიღწევის მაჩვენებლებით, რაც ასახულია ფაკულტეტის სტრატეგიის მონიტორინგის გეგმაში.

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია:

1. **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;**
2. **სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები;**
3. **კვლევითი ფუნქციის გაძლიერება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საკონსულტაციო და სასერთიფიკაციო მომსახურების განვითარება;**
4. **სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები;**
5. **პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.**

1. **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება**

ამოცანები:

1.1. შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად ახალი აკადემიური და პროფესიული პროგრამების შემუშავება;

1.2. საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება, შეცვლა და შეჩერება;

1.3. ინტერდისციპლინარული და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;

1.4. მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვა და განხორციელება;

1.5. ტრენინგ-კურსების შემუშავება, ამოქმედება და განხორციელება საკონსულტაციო მომსახურებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით;

2. სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ამოცანები:

2.1. ფაკულტეტის პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასება;

2.2. ელექტრონული სწავლების დანერგვა და ელექტრონული პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო ელექტრონული კურსების შექმნა;

2.3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება;

2.4. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემის სრულყოფა;

2.5. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

3. კვლევითი ფუნქციის გაძლიერება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საკონსულტაციო და სასერთიფიკაციო მომსახურების განვითარება;

ამოცანები:

3.1. სამეცნიერო-კვლევითი სამეცნიერო-კვლევითი გარემოს გაუმჯობესება - სათანადო ინფრასქტრუქტურა (ლაბორატორიები, აპარატურა და ა.შ.);

3.2. კვლევაზე მოზიდული სახსრების (ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გრანტების მოპოვებით, კერძო და საჯარო სექტორის მხრიდან პირდაპირი დაკვეთების ფორმით,) მოცულობის ზრდა;

3.3. კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაცია (პუბლიკაციები საერთაშორისო გამოცემებში და მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, პატენტები, გამოგონებები და ა.შ.

4. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

ამოცანები:

4.1. ელექტრონული დეკანატის პროექტში სტუდენტების აქტიური ინტეგრირება;

4.2. სტუდენტების გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული მართვის და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისათვის.

4.3. სტუდენტების აკადემიური მხარდაჭერის მიზნით კონსულტაციების, კურატორობისა და ტუტორების საქმიანობის მექანიზმის დანერგვა და გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციასა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას.

5. პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები

ამოცანები:

5.1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის შესაფერისი სამუშაო გარემოს შექმნა და მუდმივად ზრუნვა მის გაუმჯობესებაზე;

5.2. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალის სამუშაო გარემოს გაუმჯობესება;

<u>სტრატეგიული მიმართულება 1.</u> საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;

აღნიშნული მიმართულება მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის უმთავრესს ღონისძიებებს და მიმართულია შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარებისაკენ;

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგი 1.1. თვითშეფასების შედეგების საფუძველზე ჩატარებულია საზღვაო ტრანსპორტის მენეჯემნტის საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმიზაცია და პროგრამები გაუმჯობესებულია;

შედეგი 1.2. თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებულია ახალი აკადემიური - მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,

შედეგი 1.3. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებულია საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;

შედეგი 1.4. დაგეგმილია მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება (1. ლოგისტიკა და პორტების მენეჯმნეტი, 2. საფინანასო სერვისები და სხვ.);

ფაკულტეტი უნივერსიტეტში დანერგილი კრიტერიუმების საფუძველზე ახორციელებს აკედემიური და პროფესიული პროგრამების შეფასებას, იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული პროგრამების განვთარების შესაძლებლობის შესახებ და უზრუნვეყოფს მათ შემდგომ განხორციელებას, შეცვლას ან შეჩერებას.

<u>სტრატეგიული მიმართულება 2.</u> სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები;

აღნიშნული მიმართულება მოიცავს სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებს და მიმართულია ხარისხის მდგრადი განვითარებისაკენ.

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგი2.1.ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე;

შედეგი 2.2. აკადემიური პერსონალი ახორციელებს თვითშეფასებას და შესაბამისი ანგარიშების წარდგენას;

შედეგი 2.3. შემუშავებულია ელექტრონული სასწავლო კურსები და გაზრდილია სასწავლო პროცესში მათი ინტეგრაციის ხარისხი;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა გაზრდის და განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთან და დამსაქმებელთან აქტიური ურთიერთობა, ასევე ქვეყნის ფარგლებში სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება.

<u>სტრატეგიული მიმართულება 3.</u> კვლევითი ფუნქციის გაძლიერება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საკონსულტაციო და სასერთიფიკაციო მომსახურების განვითარება;

კვლევითი პროფილის შესაბამისად განისაზღვრება პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები, რაც გაზრდის ფაკულტეტის კონკურენტუნარიანობას და შემლებს საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესებას და მათთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგი 3.1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ახორციელებს კვლევითი საქმიანობის შესრულების ანგარიშგებას;

შედეგი 3.2. ფაკულტეტის ხარისხის სამსახური უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებას;

შედეგი 3.3.წარმოებს რეგიონის პრიორიტეტული დარგის განვითარების ხელშემწყობი კვლევები

ფაკულტეტის განვითარებისათვის პრიორიტეტულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესება, რისთვისაც გადამწყვეტ წინაპირობად განვიხილავთ:

-ფაკულტეტზე კვლევითი გარემოს შექმნის მიზნით სამაგისტრო პროგრამის შემუშავებას და ახალგაზრდა კვლევითი კადრების მომზადებას;

-ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით დამატებითი სახსრების მობილიზებას, რასაც ხელს შეუწყობს 2018 წელს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე წარდგენილი პროექტები;

-პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავებას;

შესაბამისად, განხორციელებული კვლევების და რეგიონის წინაშე მდგარი გამოწვევებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ნავსადგურების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვლევითი პროცესების გაღრმავება სანაპირო ეროზიის რისკების მართვის კუთხით.

<u>სტრატეგიული მიმართულება 4</u>. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

სტუდენტების მოტივაციის, კმაყოფილების ზრდისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა მხარდაჭერის სხვადასხვა სერვისის შემდგომი დახვეწა და განვითარება.

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგი 4.1. საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე სტუდენტების აკადემიური მხარდაჭერის მიზნით დანერგილია კონსულტაციების, კურატორობისა და ტუტორების საქმიანობის მექანიზმი ;

შედეგი 4.2. სტუდენტების თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას ხელს უწყობს მუდმივად განახლებადი საწარმოო პრაქტიკის პროგრამები;

შედეგი 4.3. მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით ზრდის სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობას და წარმოადგენს მათი მხარდაჭერის მნიშვნელოვან ღონისძიებას.

სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისის (მათ შორის ტუტორინგის) განვითარების მიზანია, ერთი მხრივ, დაეხმაროს სტუდენტებს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვაში და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს სტუდენტების ურთიერთდახმარებას, სტუდენტების რიგებიდან მოტივირებული ტუტორების მოზიდვის გზით.

მნიშვნელოვანია ფაკულტეტის სტუდენტურ თვითმართველობის გაძლიერება და სტუდენტების აკადემიური, შემოქმედებითი, სპორტული და სხვა სახის ინიციატივების მხარდაჭერა; დამატებითი აქტივობების (კურუკულუმის გარეშე) და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის სისტემის განვითარების მიზანია სტუდენტთა მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობების წახალისება და განხორციელება

<u>სტრატეგიული მომართულება 5.</u> პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები

საუნივერსიტეტო ცხოვრების და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონალის მხარდაჭერასა და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების გატარებას. აღნიშნულ პროცესში ფაკულტეტმა უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის, პედაგოგების, ადმინისტრაციული თანამშრომლების მოტივაცია და ხელი შეუწყოს მათი კომპეტენციის ამაღლებას.

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგი 5.1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და გამორჩეული პერსონალის მოტივაციის (წახალისების მექანიზმის) გამოყენება ფაკუტეტის საბჭოს რეკომენდაციით.

შედეგი 5.2. დაგეგმილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის დონის ამაღლება.

აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ამაღლების მიზნით აუცილებელია უცხო ენის მოსამზადებლი კურსების ორგანიზება შესაბამის ენებში (ინგლისური ენა, გერმანული ენა). პერსონალის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით ფაკულტეტმა ასევე უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის მიერ შეფასების სისტემაზე დაფუძნებული პერსონალის განვითარების პერიოდული გეგმების განხორციელება და მუდმივად იზრუნოს პერსონალის სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაზე.